დანართი №4

2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ე.ტ.№132-21 ხელშეკრულებაზე (NAT210019572)

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, **სალომე წურწუმიას** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „იბერი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ნიკოლოზ ჩახვაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2023 წლის 10 მარტის №2809-2 მოხსენებითი და №2832-2 სამსახურებრივი ბარათებისა და 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№132-21 ხელშეკრულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ№132-21 ხელშეკრულებაში (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-37) სადახლო - წოფი - ახქერფის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ9-კმ18 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება) და სამუშაოების დასრულების მიზნით მიმწოდებელს მიეცეს დამატებითი ვადა 2023 წლის 10 ივნისის ჩათვლით.
2. ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2023 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.
3. მიმწოდებელი ვალდებულია, 2023 წლის 20 მარტამდე წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც უნდა მოქმედებდეს 2023 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
4. ზემოაღნიშნული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სამუშაოების დასრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.
5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
6. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით და მისი ელექტრონული ვერსია წარმოადგენს დოკუმენტის დედანს.
8. დანართი შედგენილია ქ. თბილისში, 2023 წლის 10 მარტს და ხელმოწერილია ელექტრონულად მხარეთა მიერ.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
სალომე წურწუმია

Salome Tsurtsumia

Digitally signed by Salome Tsurtsumia
Date: 2023.03.10 19:44:26 +04'00'

მიმწოდებელი
შპს „იბერი“
დირექტორი
ნიკოლოზ ჩახვაშვილი

Nikoloz Chakhvashvili 01008023993

Digitally signed by Nikoloz Chakhvashvili
Date: 2023.03.10 19:26:20